## სტატისტიკოსის ბლოკნოტში

ჩვენ უკვე ვიუწყებოდით 8 სექტემბერს გამართული მატჩების შედეგებს. გთავაზობთ დამატებით ცნობებს.

“ლოკომოტივი” (მოსკოვი) _ “დინამო” (თბილისი) _ 2:2 (1:0).

“ლოკომოტივი”: მილესი, ვაშჩენკოვი, მასლოვი, კლიკოვი, პერეგონცევი (პოპკოვი), კონჩაროვი, ჩესნოკოვი, ზუდინი, კოზლოვი, პისკუნოვი, ტიმოფეევი (დიმიტრიადი).

“დინამო”: გოგია, პეტრიაშვილი, ჭელიძე, კანთელაძე, ხინჩაგაშვილი, გავაშელი (გოგიჯანაშვილი), მაჩაიძე, ასათიანი, გუცაევი, გ. ნოდია, ყიფიანი.

მე-11 წუთზე ანგარიში გახსნა რკინიგზელმა პისკუნოვმა, 58-ე წუთზე კი ყიფიანმა თანაფარდობა აღადგინა. 6 წუთის შემდეგ გუცაევმა დააწინაურა დინამო”, მაგრამ თამაშის გამთავრებამდე 1 წუთით ადრე კოზლოვმა შეძლო მდგომარეობის გაწონასწორება.

დუბლიორებმაც ფრედ დაამთავრეს მატჩი _ 1:1 (გოლები გაიტანეს სპირიდონოვმა და ფ. რეხვიაშვილმა).

**“ლელო”, 12 სექტემბერი, 1972 წ.**